

ნერჩენების მართვასთან დაკავშირებული პროგრამის ჩაგითხვები

2017



ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული პროგლემები რეგიონები

ნარჩენების მართვა წარმოადგენს საქართველოს წინაშე მდგარ როგორც ეროვნული, ისე რეგიონული და ადგილობრივი მნიშვნელობის გამოწვევას.

შევდეთის მთავრობის ფინანსური უზრუნველყოფით, აღნიშნული მიმართულებით, ხორციელდება პროექტი – „დაკავშირებულთათ საქართველო“ – არასამთავრობო ორგანიზაციების კონსორციუმის მიერ.

პროექტის ფარგლებში, კონსორციუმის წევრმა ორგანიზაციამ საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირმა – „ორქისმა“ 2015-2017 წლებში ჩაატარა სამოცდარვა მუნიციპალური შეხვედრა, რომლებსაც ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელი თანამდებობის პირები, გამგეობებისა და საკრებულოების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, არასამთავრობო ორგანიზაციების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებისა და მედიის წარმომადგენლები.

შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ნარჩენების მართვის სფეროში. სემინარებზე დეტალურად იქნა განხილული შემდეგი საკითხები: ნარჩენების მართვის საერთაშორისო გამოცდილება, ნარჩენების მართვის დაგეგმვა, გარემოს დაბინძურებასთან დაკავშირებული ეკოლოგიური პრობლემები და დაბინძურებული გარემოს ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედება.

შეხვედრის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა დამსწრე საზოგადოების მხრიდან დასმულ პრობლემებსა და აქტუალურ საკითხებს. პრობლემების ნაწილის მოგვარება ესაძლებელი გახდა პროექტის ფარგლებში, ხოლო ნაწილისა – ვერ მოხერხდა, რადგან გასცდა პროექტის ფარგლებს, თუმცა შეხვედრების მონაწილეებს მიეცათ რეკომენდაციები აღნიშნული საკითხების გადაწყვეტასთან დაკავშირებით.

ქვემოთ წარმოდგენილია ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული პრობლემები და აქტუალური საკითხები ცალკეული მუნიციპალიტეტების მიხედვით.

I პასეტის რეგიონი

1. საგარეჯოს მუნიციპალიტეტი

- ❖ ნარჩენების შეგროვებისათვის საჭირო რაოდენობის კონტეინერებისა და ტრანსპორტის აუცილებლობა;
- ❖ ნარჩენების ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ფინანსური პრობლემები, არასაკმარისი ნაგავმზიდების რაოდენობა და ხარისხი;
- ❖ სერვისის მიწოდების პრობლემა სოფლების ნაწილისათვის, ნარჩენების შეგროვება/გატანა არ ხორციელდება;
- ❖ მოქმედი კანომდებლობისა და ეროვნული ნარჩენების მართვის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესახებ შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა;
- ❖ საერთაშორისო დაფინასების წყაროების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა;
- ❖ ნარჩენების დაყრასთან დაკავშირებით საკანონმდებლო მოთხოვნების აღსრულების აუცილებლობა;
- ❖ მოსახლეობისა და მას-მედიის ნარჩენების მართვის საკითხებში ჩართულობის უზრუნველყოფა ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების ჩატარების აუცილებლობა.

2. გურჯაანის მუნიციპალიტეტი

- ❖ დასუფთავების სერვისის ხელმისაწვდომობის პრობლება მუნიციპალიტეტის ყველა მოსახლისათვის;
- ❖ საყოფაცხოვრებო ნაჩენების შეგროვების სისტემის გაუმჯობესების აუცილებლობა – მრავალსართულიან საცხოვრებელ კორპუსებში ნარჩენების ბუნკერების არსებობა;

- ❖ უკონტროლოდ (არალეგალური) ნაგავსაყრელების არ-სებობა სოფლად და სასურსათო ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე. უკონტროლოდ განთავსებული/დაყრი-ლი ნარჩენების არსებობა;
- ❖ ნარჩენების სეპარაციისა და შემცირების (კომპოსტირე-ბა) დანერგვის აუცილებლობა;
- ❖ ინფორმაციის ნაკლებობა არსებული ნარჩენების გადა-მამუშავებელი საწარმოების შესახებ;
- ❖ ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების ჩატარებების აუცილებლობა ყველა ასა-კობრივი ჯგუფისათვის, განსაკუთრებით სკოლებში;
- ❖ მწირი თანხები ნარჩენების მართვის მდგრადი სისტემის ჩამოსაყალიბებლად;
- ❖ ნარჩენებზე მუნიციპალური გადასახადის ამოღების პრ-ობლემა;
- ❖ კონტეინერებისა და ნაგავმზიდების არსაკმარისი დონე და ხარისხი: სუნის გავრცელების პრობლემა ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების დროს;
- ❖ მოსახლეობის არსაკმარისი ინფორმირებულობა და ჩარ-თულობა ნარჩენების მართვის საკითხების დაგეგმვაში.

3. სიღნაღის მუნიციპალიტეტი

- ❖ ნაგავსაყრელების აშენების შესაძლებლობა მუნიციპალ-ურ დონეზე;
- ❖ ნარჩენების მართვის არსებული კანომდებლობის შეს-აპამისობაში მოყვანისა და ნარჩენების მართვის ჩარჩო კანონის მიღების აუცილებლობა;
- ❖ მოსახლეობის ფართო მასების ცნობიერების ამაღლების აუცილებლობა;

- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მოსახლეობის ინფორმირებულობა და ჩართულობა ნარჩენების მართვის ჩარჩო კანონის განხილვაში.

4. თელავის მუნიციპალიტეტი

- ❖ საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამამუშავებელი თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა, გადამუშავების დაწერგვის შესაძლებლობა საქართველოში;
- ❖ სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნარჩენებით გარემოს დაბინძურების პრობლემა;
- ❖ კანონადსრულებასთან – ჯარიმების დარიცხვა და ამოღება – დაკავშირებული პრობლემები;
- ❖ სტრატეგიული დოკუმენტების და კანონმდებლობის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა;
- ❖ აუცილებელია ეფექტიანი სეპარაციის სისტემის დაწერგვა.
- ❖ მოსახლეობის ფართო მასებისათვის ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების ჩატარების აუცილებლობა.

5. თვითმართველი ქალაქი თელავი

- ❖ სამშენებლო ნარჩენების მართვის პრობლემა;
- ❖ სტიქიური ნაგავსაყრელების არსებობა მუნიციპალიტეტში;
- ❖ სტრატეგიული დოკუმენტების და კანონმდებლობის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა;
- ❖ დაგეგმილი რეგიონული მუნიციპალური ნაგავსაყრელის მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხები;

- ❖ ნარჩენების დაყრასთან დაკავშირებით (ჯარიმების) აღ-სრულების აუცილებლობა;
- ❖ მოსახლეობის ფართო მასებისათვის ცნობიერების ამა-ლების ღონისძიებების ჩატარების აუცილებლობა.

6. ყვარელის მუნიციპალიტეტი

- ❖ ლვინის ქარხნების ორგანული ნარჩენის მართვის შეს-აპამისი კანონმდებლობის მიღებისა და აღსრულების აუცილებლობა;
- ❖ ინერტული ნარჩენების განთავსების პრობლემა მუნიც-იპალიტეტში;
- ❖ ნარჩენების მართვის არსებული კანონმდებლობის აღ-სრულებასთან დაკავშირებული პრობლემები: მაგ-ალითად, სანქციების აღსრულება გარემოს ნარჩენებით დაბინძურებაზე;
- ❖ წყაროზე ნარჩენების სეპარაციის დანერგვა;
- ❖ მუნიციპალიტეტის აღჭურვა შესაბამისი რაოდენობის კონტეინერებითა და ნაგავმზიდებით.
- ❖ მოსახლეობის ფართო მასების ცნობიერების ამაღლების აუცილებლობა;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მოსახლეობის ინფორმირებულობა და ჩართულობა მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის განხილვაში.

7. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი

- ❖ სოფლებში გარემოს დაბინძურების პრობლემა ნარჩენ-ებით;
- ❖ დამატებითი კონტეინერებისა და ნაგავმზიდების საჭ-იროება;

- ❖ დასუფთავების სერვისის ტარიფის დაანგარიშების მეთოდოლოგიის საჭიროება;
- ❖ მუნიციპალიტეტში ნარჩენების წყაროსთან სეპარაციის დაწყების აუცილებლობა და გადამამუშავებელის საწარმოების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა;
- ❖ მუნიციპალიტეტში საკანალიზაციო გამწმენდი ნაგებობის არ არსებობა და მასთან დაკავშირებული პრობლემები;
- ❖ ნარჩენების მართვის სექტორში საზოგადოების არასაკმარისი ჩართულობა და ინფორმირებულობა.

8. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი

- ❖ ნარჩენების შეგროვებისათვის საჭირო რაოდენობის კონტეინერებისა და ტრანსპორტის აუცილებლობა;
- ❖ ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ფინანსური პრობლემები;
- ❖ სერვისის არასათანადო დონე-სოფლების დიდ ნაწილში ნარჩენების შეგროვება/გატანა არ ხორციელდება;
- ❖ მოქმედი კანომდებლობისა და სტრატეგიული დოკუმენტების (მათ შორის კახეთის რეგიონის რეგიონული განვითარების სტრატეგიის დოკუმენტი) შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა;
- ❖ საერთაშორისო დაფინანსების წყაროების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა;
- ❖ ნარჩენების დაყრასთან დაკავშირებით საკანონმდებლო მოთხოვნების (ჯარიმების) აღსრულების აუცილებლობა;
- ❖ მოსახლეობისა და მას-მედიის ჩართულობისა და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების ჩატარების აუცილებლობა.

9. ახმეტის მუნიციპალიტეტი

- ❖ თუშეთში ნარჩენების მართვის სისტემის დანერგვის აუცილებლობა;
- ❖ ბიოდეგრადირებადი ნარჩენების მართვის პრობლემა; მაგალითად, ღვინის ქარხნის ნარჩენები.
- ❖ სოფლებში სპონტანური ნაგავსაყრელების არსებობა;
- ❖ ნარჩენების მართვის არსებული სისტემის ნაკლოვანებები: კერძო სექტორის ჩართულობასთან დაკავშირებული პრობლემები და ინფორმაციის ნაკლებობა;
- ❖ ნარჩენების წყაროსთან სეპარაციის დაწყების აუცილებლობა და შესაბამისი ხარჯ-სარგებლის განსაზღვრა;
- ❖ ნარჩენების მართვის საკითხებში მოსახლეობის ფართო მასების ცნობიერების ამაღლების აუცილებლობა;
- ❖ მოსახლეობის ინფორმირებულობა და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობა უზრუნველყოფა ნარჩენების მართვის მუნიციპალური 5 ხლიანი გეგმის განხილვასა და მიღებაში.

II. შიდა ქართლის რეგიონი

1. ქარელის მუნიციპალიტეტი

- ❖ ნარჩენების მართვის სისტემის გაუმართაობა - მოსახლეობა არ არის უზრუნველყოფილია შესაბამისი რაოდენობის კონტეინერებითა და დასუფთავების სერვისით;
- ❖ სოფლად მცხოვრები მოსახლეობის საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებასთან დაკავშირებული ფინანსური პრობლემები, ნაგავმზიდების არსაკმარისი რაოდენობა;
- ❖ ნარჩენების სეპარაციის აუცილებლობა და ინფორმაციის ნაკლებობა ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოების შესახებ;

- ❖ ინფორმაციის ნაკლებობა დონორი ორგანიზაციების შესახებ, რომლებიც ნარჩენების მართვის სფეროში მოღვაწეობენ;
- ❖ სანქციებთან დაკავშირებით (ჯარიმები) კანონალსრულების პრობლემები;
- ❖ ინფორმაციის ნაკლებობა მოქმედი მუნიციპალური ნარჩენების ნაგავსაყრელების მართვის შესახებ (გორისა და ხაშურის არსებული ნაგავსაყრელები);
- ❖ საყოფაცხოვრებო სახიფათო ნარჩენების მართვის პრობლემა
- ❖ მოსახლეობის ფართო მასების ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების ჩატარების აუცილებლობა;;
- ❖ ნარჩენების მართვის საკითხებზე საინფორმაციო მასალის (ლიფლეტები, ბუკლეტები, ბანერები) მოსახლეობისათვის , სკოლებისათვის მიწოდება

2. კასპის მუნიციპალიტეტი

- ❖ სტიქიური ნაგავსაყრელების არსებობა მუნიციპალიტეტში;
- ❖ სამშენებლო ნარჩენების მართვის პრობლემა;
- ❖ საქონლის ნაკელით გარემოს დაბინძურების პრობლემა;
- ❖ საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული პრობლემები: სერვისი, ფინანსური რესურსების სიმწირე;
- ❖ ინფორმაციის ნაკლებობა ახალი თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობების შესახებ;
- ❖ ნარჩენების მართვის სფეროში ინფორმაციის მიმოცვლის გაუმჯობესების აუცილებლობა ადგილობრივ და ცენტრალურ უწყებებს შორის;

- ❖ ნარჩენების მართვის საკითხებზე საზოგადოების ცნობირების დონის გაუმჯობესების აუცილებლობა
- ❖ გარემოს ნარჩენებით დაბინძურების შემთხვევაში ჯარიმებთან დაკავშირებით კანონალსრულების პრობლემები

3. გორის მუნიციპალიტეტი

- ❖ გორის მუნიციპალიტეტში არსებული მუნიციპალური ნაგვსაყრელის დახურვის სავარაუდო დრო;
- ❖ წყაროზე ნარჩენების სეპარაციის დაწყების აუცილებლობა;
- ❖ კონტეინერების არასაკამარისი რაოდენობა, სოფლის მოსახლეობისათვის დასუფთავების სერვისის მიწოდების პრობლემა;
- ❖ ნარჩენების მართვის სფეროში დონორი ორგანიზაციების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა. არასამთავრობო ორგანიზაციები:
- ❖ მოსახლეობის ფართო მასების ცნობიერების ამაღლების აუცილებლობა;
- ❖ სკოლის მოსწავლეებისათვის თემატური გაკვეთილების ჩატარების აუცილებლობა;
- ❖ ნარჩენების მართვის დაგეგმარებაში მუნიციპალურ დონეზე მოსახლეობის ინფორმირებულობისა და ჩართულობის აუცილებლობა

4. ხაშურის მუნიციპალიტეტი

- ❖ ხაშურის მუნიციპალიტეტში საყოფაცხოვრებო ნარჩენებით გარემოს დაბინძურების პრობლემა დაკავშირებული ცენტრალურ საგზაო მაგისტრალთან;

- ❖ ქვეყანაში ნარჩენების გადამამუშავებელი ტექნოლო-
გიების დანერგვის შესაძლებლობა;
- ❖ ინსინერაციის შესაძლებლობები და კერძო სექტორის
ჩართულობასთან დაკავშირებული პრობლემები ნარჩენ-
ების მართვის საკითხებში;
- ❖ ინფორმაციის ნაკლებობა ნარჩენების ინტეგრირებული
მართვის საკითხებზე;
- ❖ მუნიციპალიტეტში ნარჩენების წყაროსთან სეპარაციის
დაწყების აუცილებლობა და შესაბამისი ხარჯ-სარგებ-
ლის განსაზღვრა;
- ❖ ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირებისათვის
კონტეინერებისა და ნაგავმზიდის შეძენის აუცილებლობა;
- ❖ საზოგადოების არასაკმარისი ცნობიერების დონე და
ჩართულობა ნარჩენების მართვის სექტორში.

III. ქვემო ქართლის რეგიონი

1. თვითმართველი ქალაქი რუსთავი

- ❖ საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამამუშავებელი საწა-
რმოების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა;
- ❖ საქართველოში მუნიციპალური ნარჩენების გადამა-
მუშავებელი თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის
შესაძლებლობა;
- ❖ ნარჩენების წყაროზე სეპარაციის სიტემის დანერგვის
აუცილებლობა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული
ფინანსური საკითხები;
- ❖ ნარჩენების დაყრასთან დაკავშირებით არსებული
საკანონმდებლო სანქციების (ჯარიმების) აღსრულების
აუცილებლობა;
- ❖ ინფორმაციის ნაკლებობა დონორი ორგანიზაციების
შესახებ;

- ❖ ნარჩენების მართვის და არსებული პრობლემების საკითხებზე მოსახლეობის ფართო მასებისათვის საინფორმაციო მასალის მაგალითად, კლიპების, სტატიების, საინფორმაციო ბროშურების მიწოდების აუცილებლობა.

2. ბოლნისის მუნიციპალიტეტი

- ❖ მუნიციპალური ნარჩენების სეპარაციის სისტემის არ არსებობა (ნარჩენების წყაროზე სეპარაციისასთან დაკავშირებით ფინანსური პრობლემა);
- ❖ ინფორმაციის ნაკლებობა ნარჩენების მართვის სფეროში საკანონმდებლო ცვლილებებისა და ეროვნული სტრატეგიული დოკუმენტების პრიორიტეტებისა და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ;
- ❖ ბოლნისში წყლის დაბინძურების პრობლემა საწარმოო ნარჩენებით;
- ❖ მოსახლეობის ფართო მასების ცნობიერების არასაკმარისი დონე ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ საკითხებში;
- ❖ ნარჩენებით გარემოს დაბინძურებაზე კანონმდებლობით განსაზღვრულ ქმედებების (ჯარიმები) კანონალსრულების პრობლემა.
- ❖ საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით მოსახლეობის ინფორმირებულობისა და ცნობიერების არსაკმარისი დონე.

3. მარნეულის მუნიციპალიტეტი

- ❖ პრობლემას წარმოადგენს მუნიციპალური საყოფაცხოვრებო ნარჩენების სერვისის გადასახადის გადახდა მოსახლეობის მხრიდან-სოფლებში პრაქტიკულად გადსახადი არ არის დაწესებული;

- ❖ ნარჩენების მართვის სექტორში საზოგადოების არასაკ-მარისი ჩართულობა, ინფორმირებულობა და საზოგა-დოების ცნობიერების არასათანადო დონე;
- ❖ გარემოს საყოფაცხოვრებო და ინერტული/სამშენებლო ნარჩენებით დაბინძურების შემთხვევაში კანონმდებლო-ბით განსაზღვრულ ჯარიმების პრაქტიკული განხორ-ციელება-არ ხდება კანონადსრულება;
- ❖ მუნიციპალიტეტში არსებულ კომპოსტირების საწარმოს ეფექტური მუშაობის პრობლემა;
- ❖ მოქმედი მუნიციპალური ნაგავსაყრელის მართვისა და მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა;
- ❖ მუნიციპალიტეტში ნარჩენების სეპარაციის სიტემის არქონასთან დაკავშირებული პრობლემები-გარემოს დაბინძურება პლასტმასის ბოთლებითა და სათბურებში გამოყენებული ცელოფნებით;
- ❖ ადგილებზე/ ფერმერების მიერ კოპოსტირების დან-ერგვის საჭიროება;
- ❖ ინფორმაციის ნაკლებობა ნარჩენების მართვის სერვი-სის მიმწოდებლების რეგისტრაციასთან დაკავშირებუ-ლი საკანონმდებლო მოთხოვნების შესახებ.

4. დმანისის მუნიციპალიტეტი

- ❖ არ ხორციელდება მუნიციპალიტეტში წარმოქმნილი მუ-ნიციპალური ნარჩენების სეპარაცია წყაროზე;
- ❖ ინფორმაციის ნაკლებობა რეგიონში არსებული მუნიცი-პალური ნაგავსაყრელის მდგომარეობისა და დაგეგმილი ახალი, რეგიონული ნაგავსაყრელის მშენებლობის შეს-ახებ;
- ❖ მოსახლეობის ცნობიერების დაბალი დონე ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ საკითხებში;

- ❖ სოფლებში ფერმერების მიერ კოპოსტირების პრაქტიკის დანერგვის საჭიროება;

5. გარდაბნის მუნიციპალიტეტი

- ❖ მოქმედი ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა;
- ❖ ახალი რეგიონული ნაგავსაყრელის მშენებლობასთან დაკავშირებით ინფორმაციის ნაკლებობა;
- ❖ მუნიციპალურ ნაგავსაყრელებზე ბიოდეგრადირებადი ნარჩენებისა და ცხოველური ნარჩენების არსებობასთან დაკავშირებული პრობლემები
- ❖ სოფელებში სტიქიური ნაგავსაყრელების არსებობა;
- ❖ ნარჩენების გატანასთან დაკავშირებული სერვისის არასათანადო დონე-მუნიციპალიტეტის ზოგიერთი სოფლებიდან არ ხორციელდება საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა;
- ❖ სტრატეგიული დოკუმენტების და კანონმდებლობის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა;
- ❖ საერთაშორისო დაფინანსების წყაროების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა;
- ❖ ნარჩენების დაყრასთან დაკავშირებით (ჯარიმების) აღსრულების აუცილებლობა;
- ❖ მოსახლეობის ფართო მასებისათვის ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების ჩატარების აუცილებლობა

6. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი

- ❖ არ ხდება მუნიციპალიტეტის ზოგი სოფლიდან მოსახლეობისაყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება და გამოტანა;

- ❖ პრობლემები მოსახლეობის მიერ საყოფაცხოვრებო ნარჩენების არაკონტროლირებად დაყრასთან დაკავშირებით-(ჯარიმების) აღსრულების აუცილებლობა;
- ❖ ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების აუცილებლობა მოსახლეობაში;
- ❖ ინფორმაციის ნაკლებობა ახალ, დაგეგმილ რეგიონული ნაგავსაყრელზე ნარჩენების გადამუშავების შესახებ (დაგეგმილია თუ არა სეპარირება, კომპოსტირება?)
- ❖ ინფორმაციისა ნაკლებობა ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესის შესახებ-მუნიციპალიტეტს არ ქონდა დრო და ინფორმაცია დოკუმენტის განხილვისა და კომენტარისათვის.
- ❖ ტრინინგების ჩატარების აუცილებლობა სკოლის მოსწავლეებისათვის და მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის ნარჩენების მართვის საკითხებზე;

7. წალკის მუნიციპალიტეტი

- ❖ დაფინანსების სიმწირე, მუნიციპალიტეტში ნარჩენების შესაგროვებელი ტრანსპორტის (ნაგავმზიდების) მოძველებული ავტოპარკი;
- ❖ სოფლების ნაწილში მისასვლელი გზების სავალალო მდგომარეობის გამო სერვისის მიწოდების პრობლემა;
- ❖ საყოფაცხოვრებო ნარჩენების უკონტროლოდ განთავსებასა და დაყრაზე კანომდებლობით გათვალინებული სანქციების აღსრულების პრობლემა;
- ❖ საყოფაცხოვრებო ნარჩენების კონტეინერების სიმცირე და სოფლებიდან ნარჩენების გამოტანის პრობლემა.
- ❖ ინფორმაციის ნაკლებობა ახალი რეგიონული მუნიციპალური ნაგავსაყრელის მშენებლობის ვადების შესახებ;

- ❖ მუნიციპალიტეტში ნარჩენების სეპარაციის სიტემის არქონასთან დაკავშირებული პრობლემები-გარემოს დაბინძურება პლასტმასის ბოთლებით, პამპერსებით;
- ❖ ინფორმაციის ნაკლებობა ნარჩენების გადამამუშავებელი მოქმედი საწარმოების შესახებ
- ❖ მაწანწალა ძალლების პრობლემა: იკვებებიან ნარჩენებით და წარმოადგენენ ინფექციების პოტენციურ გამავრცელებლებს.
- ❖ არაკონტროლირებადი ნაგავსაყრელების არსებობა მუნიციპალიტეტში
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები:
- ❖ საყოფაცხოვრებო ნარჩენების საკითხებზე მოსახლეობისათვის საინფორმაციო მასალის მიწოდების აუცილებლობა;
- ❖ მოსახლეობისა ინფორმირებულობისა და ცნობიერების არსაკმარისი დონე.

IV მცხეთა-მთიანეთის რეგიონი

1. დუშეთის მუნიციპალიტეტი

- ❖ ინფორმაციის ნაკლებობა საყოფაცხოვრებო ნარჩენებთან დაკავშირებული საერთაშორისო ვალდებულებებისა და საკანონმდებლო ჩარჩოს შესახებ შესახებ მუნიციპალიტეტისა დონეზე;
- ❖ მუნიციპალური ნარჩენების გადამამუშავებელი თანამედროვე ტექნოლოგიები და მათი დანერგვის შესაძლებლობა საქართველოში;
- ❖ ქვეყანაში, მუნიციპალური ნარჩენების სექტორში მიმდინარე და დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა;

- ❖ წყაროზე ნარჩენების სეპარაციის პრობლემა და აღ-ნიშნულ საკითხთან დაკავშირებული საკანონმდებლო და ფინანსური საკითხები (ნაგავმზიდებისა და კონტეინერ-ების არასაკმარისი რაოდენობა);
- ❖ მუნიციპალიტეტში არაკონტროლირებადი/სტიქიური ნაგვსაყრელების არსებობა;
- ❖ ნარჩენებით დანაგვიანებასთან დაკავშირებით არსე-ბული საკანონმდებლო სანქციების (ჯარიმების) აღ-სრულების აუცილებლობა;
- ❖ მოსახლეობის ცნობიერების არასაკმარისი დონე ნარჩენ-ების მართვის და არსებული პრობლემების საკითხებზე,
- ❖ მოსახლეობის ფართო მასებისათვის საინფორმაციო მა-სალის მომზადებისა და გავრცელების აუცილებლობა

2. თიანეთის მუნიციპალიტეტი

- ❖ საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამამუშავებელი /რე-ციკირების საწარმოების შესახებ ინფორმაციის ნაკლე-ბობა;
- ❖ მოქმედი კანონმდებლობისა და სტრატეგიული დოკუ-მენტების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა;
- ❖ ნარჩენების მართვის სფეროს დონორების შესახებ ინ-ფორმაციის ნაკლებობა;
- ❖ მუნიციპალიტეტის სოფლებიდან ნარჩენების გამოტანის პრობლემა;
- ❖ სეზონზე (რეკრიაციულ ზონაში) ნარჩენების რაოდენო-ბის მკვეთრი ზრდა და დანაგვიანების პრობლემები (კონ-ტეინერების არასაკმარისი რაოდენობა);
- ❖ სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების სტიქიუ-რი ნაგავსაყრელების არსებობა.

- ❖ საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით მოსახლეობისა და დამსვენებლების ინფორმირებულობისა და ცნობიერების არსაკმარისი დონე.

3. ყაზბეგის მუნიციპალიტეტი

- ❖ საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებას და გატანაზე სერვისის გადასახადების ამოღების პრობლემა;
- ❖ ნარჩენებით გარემოს დანაგვიანების პრობლემა განსაკუთრებით ტურისტულ სეზონზე;
- ❖ ტრანზიტით გამვლელი მძროლების მიერ ნარჩენების დაყრის პრობლემა;
- ❖ ინფორმაციის ნაკლებობა საერთაშორისო გამოცდილების შესახებ ნარჩენების მართვის საკითხებში;
- ❖ ჯარიმების კანონალსრულების
- ❖ რეციკლირების მოქმედი საწარმოების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა.
- ❖ ნარჩენების წყაროზე სეპარაციის სიტემის დანერვის აუცილებლობა
- ❖ მოსახლეობისა და ტურისტების ინფორმირებულობისა და ცნობიერების არასაკმარისი დონე.

4. მცხეთის მუნიციპალიტეტი

- ❖ მუნიციპალიტეტში დასუფთავების მოსაკრებელის ამოღების პრობლემა;
- ❖ გარემოს ნარჩენებით დაბინძურებაზე კანონალსრულების პრობლემა;
- ❖ საყოფაცხოვრებო ნარჩენების უკონტროლოდ განთავსების პრობლემები სოფლებში;

- ❖ მუნიციპალიტეტში ჩამდინარე/საკანალიზაციო გამწმენ-დი ნაგებობის არ არსებობა და შესაბამისად მდინარე მტ-კვარისა და მდინარე არაგვის დაბინძურების პრობლემა;
- ❖ არასათანადო აღჭურვა ყველა მოსახლისათვის და-სუფთავების სერვისის მიწოდების პრობლემა.
- ❖ საყოფაცხოვრებო ნარჩენების საკითხებზე მოსახლეო-ბისათვის ცნობიერების არსაკმარისი დონე.

5. თვითმართველი ქ. მცხეთა

- ❖ სახიფათო საოჯახო (მათ შორის სამედიცინო) ნარჩენ-ების მართვასთან დაკავშირებით არსებული პრობლემები;
- ❖ მუნიციპალიტეტის არსაკმარისი ადამიანური და ტე-ქნიკური რესურსები-შესაძლებლობის გაძლიერების აუცილებლობა მუნიციპალური ნარჩენების მართვის 5 წლიანი გეგმის შემუშავებაზე;
- ❖ ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების არასაკმარი-სი დონე ნარჩენების მართვის საკითხებზე;
- ❖ გარემოს ნარჩენებით დანაგვიანების პრობლება-კანო-ნალსრულების პრობლემა სანქციებთან დაკავშირებით;
- ❖ არასაკმარისი ნაგავმზიდი მანქანებისა და კონტეინერე-ბის რაოდენობა და ხარისხი;
- ❖ კომუნიკაცია და ჩართულობა ნარჩენების მართვის გეგ-მების შემუშავებაში;
- ❖ ბიოლოგიური ნარჩენის (ნაკელის) ალტერნატიულ ენერ-გორესურსად გამოყენების ხელშეწყობის აუცილებლობა.

V სამცხე-ჯავახეთის რეგიონი

1. ახალციხის მუნიციპალიტეტი

- ❖ მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების მოსახლეობის მიერ თვითნებურად მოწყობილი ნაგავსაყრელებისა და სოფლებიდან ნარჩენების გამოტანის პრობლემა;
- ❖ 2. მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე არსებული გზების ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული პრობლემები;
- ❖ 3. ნარჩენების შეგროვებისა და გატანის სერვისთან დაკავშირებით იურიდიულ პირებთან ხელშეკრულებების დადებასთან დაკავშირებული პრობლემები;
- ❖ 4. გადასახადების ამოღების პრობლემა, როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირებისგან;
- ❖ 5. გარემოს დაბინძურებისათვის სანქციებთან დაკავშირებით კანონალსრულების პრობლემები;
- ❖ მუნიციპალიტეტში მოსახლეობის ცნობიერების არასაკმარისი დონე ნარჩენების მართვის საკითხებზე.

2. თვითმართველი ქ. ახალციხე

- ❖ მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების მოსახლეობის მიერ თვითნებურად მოწყობილი ნაგავსაყრელებისა და სოფლებიდან ნარჩენების გამოტანის პრობლემა;
- ❖ 2. მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე არსებული გზების ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული პრობლემები;
- ❖ 3. ნარჩენების შეგროვებისა და გატანის სერვისთან დაკავშირებით იურიდიულ პირებთან ხელშეკრულებების დადებასთან დაკავშირებული პრობლემები;

- ❖ 4. გადასახადების ამოღების პრობლემა, როგორც იუ-
რიდიული, ისე ფიზიკური პირებისგან;
- ❖ 5. გარემოს დაბინძურებისათვის სანქციებთან დაკავ-
შირებით კანონალსრულების პრობლემები;
- ❖ მუნიციპალიტეტში მოსახლეობის ცნობიერების არასაკ-
მარისი დონე ნარჩენების მართვის საკითხებზე.

3. ასპინძის მუნიციპალიტეტი

- ❖ სოფლებში საყოფაცხოვრებო ნარჩენების უკონტრო-
ლოდ განთავსების პრობლემა;
- ❖ მოსახლეობის ცნობიერების არასაკმარისი დონე ნარჩენ-
ების მართვის საკითხებში;
- ❖ მუნიციპალიტეტში დასუფთავების მოსაკრებელის
ამოღების პრობლემა;
- ❖ ნარჩენების სეპარაციის დაწყების აუცილებლობა;
- ❖ არასაკმარისი კონტეინერებისა და ნაგავმზიდების რა-
ოდენობა.
- ❖ საყოფაცხოვრებო ნარჩენების საკითხებზე მოსახლეო-
ბის ყველა ფენაში ცნობიერების ამაღლების ღონისძიე-
ბების ჩატარების აუცილებლობა.

4. ნინოწმინდა მუნიციპალიტეტი

- ❖ სეპარაციის დანერგვის აუცილებლობა მუნიციპალი-
ტეტში;
- ❖ ნარჩენების გადამუშავების შესაძლებლობების შესახებ
ინფორმაციის ნაკლებობა;
- ❖ PPP (Public- Private-Partnership) დანერგვის შესაძლებლო-
ბა მუნიციპალიტეტში;

- ❖ ნარჩენების მართვის საკითხებში მოსახლეობის ცნობი-ერების არასაკმარისი დონე;
- ❖ არსაკმარისი ადამიანური რესურსები/გამოცდილების სიმწირე მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავებაში;
- ❖ ნარჩენებით გარემოს დაბინძურების პრობლემები (კანო-ნალსრულება ნარჩენების დაყრაზე).
- ❖ საყოფაცხოვრებო ნარჩენების საკითხებზე მოსახლეო-ბისათვის ცნობიერების არსაკმარისი დონე.

5. ადიგენი მუნიციპალიტეტი

- ❖ ადიგენის მუნიციპალიტეტში მუნიციპალური ნარჩენ-ების მართვის გეგმის სემუშავებასთან დაკავშირებით ტექნიკური დახმარების საჭიროება;
- ❖ ნარჩენების წყაროსთან სეპარაციის დაწყების აუცილე-ბლობა და შესაბამისი ხარჯ-სარგებლის განსაზღვრა;
- ❖ ნარჩენების მართვის სფეროში საგანმანათლებლო/ცნო-ბიერების ამაღლების მიზნით პროექტების დაფინანსების შესაძლებლობები, დონორები;
- ❖ ნარჩენების გადამამუშაველი საწარმოების შესახებ ინ-ფორმაციის ნაკლებობა
- ❖ ნარჩენების მართვის სექტორში საზოგადოების არასაკ-მარისი ჩართულობა და ინფორმირებულობა.

6. ბორჯომის მუნიციპალიტეტი

- ❖ გარემოს დაბინძურება მოსახლეობის მიერ ნარჩენებით (მსხვილფეხა პირუტყვის მიერ ქუჩებში გადაადგილების გამო), ნარჩენების მართვის საკითხებში მოსახლეობის ცნობიერების არასაკმარისი დონე;

- ❖ ნარჩენების წყაროსთან სეპარაციის სისტემის დანერგვის აუცილებლობა და შესაბამისი ხარჯ-სარგებლის განსაზღვრა;
- ❖ სამშენებლო ნარჩენების მართვის/განთავსების პრობლემა;
- ❖ ინფორმაციის ნაკლებობა ნაკავშირებისა და ნარჩენების გადამტვირთავი სადგურის აშენებისათვის საკანონმდებლო მოთხოვნების შესახებ (ტექნიკური რეგლამენტი);
- ❖ ნარჩენების მართვის მუნიციპალური გეგმის შემუშავებისათვის ტექნიკური დახმარების აუცილებლობა;
- ❖ საყოფაცხოვრებო ნარჩენების უკონტროლოდ განთავსების პრობლემები სოფლად;
- ❖ საყოფაცხოვრებო ნარჩენებით გარემოს დაბინძურებაზე ს კანონალსრულების პრობლემა.
- ❖ საყოფაცხოვრებო ნარჩენებით გარემოს დაბინძურებაზე სანქციების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის არსაკმარისი დონე.

7. ახალქალაქის მუნიციპალიტეტი

- ❖ ნარჩენების მართვის სფეროს მნირი დაფინანსება და ინფორმაციის ნაკლებობა დაფინანსების პოტენციური წყაროების შესახებ;
- ❖ მუნიციპალიტეტის დონეზე დასუფთავების გადასახადის/ტარიფის გაანგარიშებისა და ბიუჯეტის დაგეგმვის პრობლემა;
- ❖ ნარჩენების შესაგროვებელი ტრანსპორტის (ნაგავმზიდების) მოძველებული ავტოპარკი;
- ❖ მუნიციპალიტეტში საყოფაცხოვრებო ნარჩენების უკონტროლოდ განთავსებისა და მაწანწალა ძალლების პრობლემა;

- ❖ ინფორმაციის ნაკლებობა საქართველოში ნარჩენების მართვის სექტორში არსებული მდგომარეობის, მოქმედი კანონმდებლობისა და ცენტრალური ბიუჯეტიდან მიზნობრივად ნარჩენების მართვის სრული დაფინანსების შესაძლებლობის შესახებ;
- ❖ საყოფაცხოვრებო ნარჩენების საკითხებზე საინფორმაციო მასალის ნაკლებობა და მოსახლეობის ცნობიერების არსაკმარისი დონე.

V იმართის რეგიონი

1. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია

- ❖ სერვისის მოსაკრებელის ამოღებასთან დაკავშირებული პრობლემები;
- ❖ ნარჩენების გადამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიების (მაგალითად, ბიორეაქტორი, მექანიკურ ბიოლოგიურ გადამუშავება (MBT) და საქართველოში დანერგვის პოტენციალის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა;
- ❖ ინფორმაციის ნაკლებობა სახიფათო საყოფაცხოვრებო ნარჩენების უსაფრთხოდ მართვის შესაძლებლობების შესახებ, ნარჩენების ხელახალი გამოყენების შესახებ (მაგალითად, პლასტმასის ჭურჭლის გამოყენება საყოფაცხოვრებო მიზნებით წყლის, სასმელის შესანახად);
- ❖ ინფორმაციის ნაკლებობა გადამამუშავებელი მოქმედი საწარმოების შესახებ;
- ❖ საინფორმაციო მასალის ნაკლებობა ნარჩენებით გარემოს დაბინძურებაზე სანქციების შესახებ;
- ❖ ინფორმაციის ნაკლებობა სამედიცინო ნარჩენების მართვის არსებული სისტემისა და საერთაშორისო გამოცდილების შესახებ.

- ❖ ადგილობრივი საინფორმაციო საშუალებებით ნარჩენების მართვის საკითხების ხშირად გაშუქების აუცილებლობა;
- ❖ ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის გაზრდა ნარჩენების მართვის საკითხების განიღვასა და პრობლემების მოგვარებაში;
- ❖ საინფორმაციო კამპანიებია და დასუთავების აქციების პერიოდულად ჩატარების აუცილებლობა;

2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტი

- ❖ მუნიციპალიტეტის სოფლებში სერვისის მიწოდების პრობლემა, ნაგავმზიდი მანქანების და კონტეინერების არასაკმარისი რაოდენობა;
- ❖ მუნიციპალიტეტში პროექტების მართვის (საპროექტო წინადადების მომზადება, მინიტორინგი და ა.შ.) კვალიფიკაციის კადრების ნაკლებობა;
- ❖ ნარჩენებით გარემოს დაპინძურებაზე ჯარიმების გადახდა- კანონალსრულებასთან დაკავშირებული პრობლემები;
- ❖ სეპარაციის სიტემის დანერგვის აუცილებლობა,
- ❖ ინფორმაციის ნაკლებობა მთავრობის მიერ დაგეგმილი ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესახებ;
- ❖ ინფორმაციის ნაკლებობა ნარჩენების მართვის კოდექსით განსაზღვრული გარემოსდაცვითი მართველის ფუნქციების შესახებ.
- ❖ მოსახლეობის ცნობიერების დონისა და ინფორმირებულობის გაუმჯობესების აუცილებლობა;

- ❖ ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში საზოგადოების ჩართულობის აუცილებლობა.

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტი

- ❖ მუნიციპალიტეტში შემავალი მაღალმთიანი სოფლებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გამოტანის პრობლემა-სერვისის მიწოდების პრობლემა შესაბამისი ტიპის ნაგავმზიდი მანქანებისა და კონტეინერების საჭირო რაოდენობის არქონის გამო;
- ❖ მოსახლეობიდან დასუფთავების გადასახადის ამოღების პრობლემა;
- ❖ ინფორმაციის ნაკლებობა გარემოს დაბინძურებაზე სანქციების (ჯარიმები) კანონალსრულებასთან დაკავშირებით;
- ❖ ბიზნეს სექტორის ნარჩენების მართვაში მონაწილეობის საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილება, საქართველოში დანერგვის შესაძლებლობები;
- ❖ ადგილობრივი მოსახლეობისა და ბიზნესის წარმომადგენლების ინფორმირებულობისა და ცნობიერების არასაკმარისი დონე ნარჩენების მართვის საკითხებზე;

4. ზესტაფონის მუნიციპალიტეტი

- ❖ მუნიციპალიტეტში სოფლებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გამოტანის პრობლემა;
- ❖ გარემოს ნარჩენებით დაბინძურების შემთხვევაში სანქციების/ჯარიმების კანონალსრულებასთან დაკავშირებული პრობლემები;

- ❖ ისტორიული და ახალი სამრეწველო ნარჩენებით გარე-მოს დაბინძურების პრობლემა
- ❖ ინფორმაციის ნაკლებობა:
 - ბიდეგრადირებადი ნარჩენების საოჯახო პირობებში კომპოსტირების მეთოდის შესახებ;
 - მოქმედი კანონმდებლობის შესახებ-ადგილობრივი თვითმართველობის საკუთარი პასუხისმგებლობა ახალი, რეგიონული ნაგავსაყრელის აშენების შემდეგ;
 - ნარჩენების მართვის სექტორში დონორი ორგანიზაციებისა და საფინანსო ინსტიტუტების შესახებ;
- ❖ ნარჩენების სეპარაციის სისტემის არ არსებობა მუნიციპალიტეტში;
- ❖ ადგილობრივი და ცენტრალური საინფორმაციო საშუალებებით ნარჩენების მართვის საკითხების გაშუქების აუცილებლობა;
- ❖ მოსახლეობის ცნობიერების დონისა და ინფორმირებულობის გაუმჯობესების აუცილებლობა ნარჩენების მართვის საკითხებზე;

5. ხონის მუნიციპალიტეტი

- ❖ აუცილებელია მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების მიზნით შესაბამისი რაოდენობის კონტეინერებისა და ნაგავმზიდი მანქანებით მუნიციპალიტეტის აღჭურვა;
- ❖ სერვისის არასათანადო დონე-სოფლების ნაწილში ნარჩენების შეგროვება/გატანა რა ხორციელდება;
- ❖ მოქმედი კანონმდებლობისა და სტრატეგიული დოკუმენტების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა;
- ❖ ნარჩენების სექტორში საერთაშორისო დაფინანსების წყაროების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა;

- ❖ საკანონმდებლო მოთხოვნების (ჯარიმების) აღსრულების აუცილებლობა-ნარჩენების დაყრასთან დაკავშირებით;
- ❖ ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა.
- ❖ ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების ჩატარების აუცილებლობა მოსახლეობისა და მას-მედიის აქტიური მონაწილეობით.

6. სამტრედიის მუნიციპალიტეტი

- ❖ სოფლებში სპონტანური ნაგავსაყრელების არსებობა;
- ❖ ნარჩენების მართვის არსებული სისტემის ნაკლოვანებები: მწარმოებლის გაფართოებული პასუხისმგებლობის საკანონმდებლო მოთხოვნების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა;
- ❖ კერძო სექტორის ჩართულობასთან დაკავშირებული პრობლემები და ინფორმაციის ნაკლებობა;
- ❖ ნარჩენების წყაროსთან სეპარაციის დაწყების აუცილებლობა და შესაბამისი ხარჯ-სარგებლის განსაზღვრა;
- ❖ ნარჩენების სერვისის ტარიფის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა: მაგალითად, სეპარირებული მუნიციპალური ნარჩენების ნაგავსაყრელზე გატანის შემთხვევაში „ჭიშკრის გადასახადის“ დაანგარიშება და ა.შ.
- ❖ ნარჩენების მართვის საკითხებში მოსახლეობის ფართო მასების ცნობიერების ამაღლების აუცილებლობა;
- ❖ მოსახლეობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობა უზრუნველყოფა ნარჩენების მართვის მუნიციპალური 5 წლიანი გეგმის შემუშავებაში, განხილვასა და მიღებაში.

7. ბალდათის მუნიციპალიტეტი

- ❖ სოფლებში დასუფთავების სერვისის მიწოდებასთან დაკავშირებული პრობლემები-ტექნიკისა და კონტეინერების ნაკლებობა;
- ❖ ინფორმაციის ნაკლებობა საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამამუშავებელი საუკეთესო ტექნოლოგიების/საერთაშორისო გამოცდილების შესახებ;
